ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4785901

ნომერი: AR1721049

თარიღი : 27.11.2019

გაცემის თარიღი : 10.12.2019

გაცნობის თარიღი : 10.12.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-10 კმ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ფურცხვანიძე პ/ნ 01017004573
- სარაჯიშვილის 7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
00. საჭიროა წარმოადგინოთ განთავსების განახლებული სქემა, რადგან იმ არეალში, სადაც გსურთ განთავსება, ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1.
1. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : კონტურის სახით მონიშნეთ საპროექტო არეალი.
2. ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : მიმდინარე (AR1721049) განცხადებაზე წარმოდგენილი ფოტომონტაჟი იდენტურია AR1720046 განაცხადზე ატვირთული დოკუმენტაციისა, სადაც ითხოვდით საყარაულო ჯიხური / პერსონალის დამხმარე სათავსოს. თქვენს მიერ მოთხოვნილი დროებითი პავილიონი და საყარაულო ჯიხური / პერსონალის დამხმარე სათავსო ფუნქციურად ერთმანეთისგან განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული გეგმა და ფოტომონტაჟი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.